ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

რეგისტრაციის ნომერი №57/1-180

№4 (83) აპრილი, 2010 წელი ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოსთვის დღეგრძელი სიცოცხლე

„ყველამ გაიგოს, ყველამ უწყოდეს ადგან ჩვენ შეგტოთით თავისუფლებას, ჩვენადვე თავი სამს გვაყენოდეს“.

მოცამ ჯოსტავა

1989 წლის 9 აპრილი საქართველოს უახლოეს ისტორიაში შევიდა როგორც უდიდესი ტრაგედიის დღე. ეს დღე ქართველთა მეხსიერებაში მარად დარჩება მოუშუშებელ იარად, ტკივილად, წუხილად, მაგრამ ამასთანავე ერის გამოღვიძების, გამოფხიზლების, არდაჩოქვის, და რაც მთავარია ერთიანობის დღედ. 9 აპრილის ავადსახსენებელ ღამეს თბილისის შუაგულში, მთავრობის სახლის წინ, ქაშვეთის ეკლესიასთან დაარბიეს მშვიდობიანი ადამიანები, მომიტინგეები, დახოცეს ადამიანები, უმეტესწილად—ქალები და ახალგაზრდები, მაგრამ ვერ ჩაკლეს ქართველთა თავისუფლებისათვის ლტოლვა და ჟინი, მისწრაფება დამოუკიდებლობისა და ქვეყნის სუვერენიტეტისკენ.

9 აპრილი საოცარი იმპულსი გახდა ქვეყნისათვის. მეორე დღესვე ერთ მუშტად შეიკრა ერი. მან დაანახა მსოფლიოს, რომ გზა, რომელსაც დასაბამი დაუდო 9 აპრილმა, არის ერთადერთი და შეუცვლელი, რომ საქართველოს სვლას ამ გზაზე ვეღარაფერი შეაჩერებს.

21 წელი... ბევრი რამ გადაიტანა საქართველომ ამ ხნის მანძილზე, ბევრი რამ შეიცვალა და გადაფასდა, ჩვენი დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობაც არა ერთხელ დადგა ეჭვქვეშ, მაგრამ დავამტკიცეთ, რომ ვართ თვითმყოფადი ერი, უძველესი ისტორიისა და კულტურის ქვეყანა, ძლიერი ქვეყანა.

საქართველომ ტკივილითა და უდიდესი სიამაყით აღნიშნა წლევანდელი 9 აპრილი. ამ წმინდა დღეს მოვილოცეთ დაღუპულ გმირთა საფლავები, პანაშვიდი გადავუხადეთ, არდავიწყების სანთლები დავუნთეთ, პატივი მივაგეთ... ნათელში იყოს მათი სულები!

საქართველოში დამოუკიდებლობისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის ბრძოლა ისევ გრძელდება. იოლი არ გამოდგა ეს ბრძოლა და ეს ნებისმიერმა ჩვენგანმა მშვენივრად ვიცით. ისიც მშვენივრად ვიცით, რომ გამარჯვება ჩვენს გონიერებაშია, ერთიანობაშია, საქართველოს სიყვარულსა და ურთიერთპატივისცემაშია. შეიძლება სხვადასხვა შეხედულებები გვქონდეს, გნებავთ პოლიტიკური, ეს სრულიად ნორმალური და დასაშვებია, მაგრამ პატრიოტიზმი—ეს ყველაზე მაღალი ღირებულებაა, ეს ჩვენი ღირსებისა და ეროვნულობის საქმეა. „თუ მთელმა ერმა არ მოინდომა გამარჯვება, მას მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებსო,“ —გვასწავლის კონსტანტინე გამსახურდია. აშკარად ბრძნული შეგონებაა.

დღეს საქართველო ისევ გამოწვევებისა და გამოცდის წინაშე დგას ასე თუ ისე, სისხლით მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა და სისხლითვე გვიწევს მისი დაცვა.

ეს უნდა გვახსოვდეს! 9 აპრილს დაღუპულ უდანაშაულო ქართველთა სისხლიც ამასვე გვაფხიზლებს: გვიყვარდეს ერთმანეთი და გვტკიოდეს საქართველო!

9 აპრილი—ჩვენი ტკივილი და სიამაყე

***

ქალაქ ცაგერის ცენტრში ახალგაზრდული დეპარტამენტის ეგიდით (ხელმძღვანელი თამილა ჭაბუკიანი) 9 აპრილს დაღუპულთა პატივსაცემად აგებულ მემორიალთან კიდევ ერთხელ შეიკრიბა საზოგადოება. მომავალმა თაობამ ლექსებით კიდევ ერთხელ გაგვახსენა ტკივილიანი დღე, ყვავილებით შეამკეს, სანთლებიც დაანთეს დაღუპულთა სულის საოხად.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №173

ქ. ცაგერი 22 აპრილი 2010 წელი

ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის არჩევის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

3. ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლად არჩეული იქნეს დიმიტრი ასათიანი.

4. განკარგულება ამოქმედდეს ხელისმოწერისთანავე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ო. ჭაბუკიანი

დიმიტრი ომარის ძე ასათიანი დაიბადა 1979 წლის 10 თებერვალს ქუთაისში. (მცხ. ქ. ქუთაისის ხარებავას ქუჩა №41/22, ცაგერის რაიონი სოფ. ბარდნალა). 1985 წელს სასწავლებლად შევიდა ქ. ქუთაისის 37-ე საშუალო სკოლაში და 1996 წელს ექსტერნად დაამთავრა ცაგერის რაიონის სოფ. ჩხუტელის საშუალო სკოლა. 1997-2002 წლებში სწავლობდა ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტში სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე, სადაც გაიარა აღნიშნული სასწავლებლის სრული კურსი. 2002-2003 წლებში გაიარე სავალდებულო სამხედრო სამსახური საქართველოს უშიშროების სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ქუთაისის განყოფილებაში. 2006 წლის მაისის თვიდან 2010 წლის მარტის თვემდე მუშაობდა ჯერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, ქუთაისის შს სამმართველოს პოლიციის №2 განყოფილების კრიმინალური პოლიციის ჯგუფის გამომძიებლად, შემდეგ ქუთაისის შს სამმართველოს პოლიციის №2 განყოფილების კრიმინალური პოლიციის ჯგუფის ინსპექტორ-გამომძიებლად. 2010 წლის მარტის თვიდან მუშაობს ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად.

მამა—ომარი დიმიტრის ძე ასათიანი დაბადებული 1943 წლის 10 აგვისტოს საფეხბურთო კლუბ „კოლხიდას“ პრეზიდენტი.

დედა—იზოლდა ევგენის ასული ირემაძე-ასათიანი დაბადებული 1952 წლის 21 სექტემბერს, დიასახლისი.

და—ნინო ომარის ასული ასათიანი, დაბადებული 1982 წლის 13 თებერვალს, ქ. ქუთაისის №1 საბავშვო ბაღის პედაგოგი.

ინფორმაცია

ცაგერის მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების ხედვა და მათი გადაწყვეტის გზების შესახებ

—მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მუნიციპალილიტეტის სოციალურ—ეკონომიკური განვითარების გეგმის შედგენას, ასევე ქვეყნის განვითარების ძირეული მიმართულების შესაბამისად მუნიციპალიტეტის სამოქმედო გეგმის დამუშავებას, რომელიც მოიცავს პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად განსახორციელებელ პირობებსა და ღონისძიებებს. პროგრამებზე მუშაობის დროს გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივები სტრატეგიული გეგმების შედგენასთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების გეგმის საჯარო განხილვის მიზნით შეიქმნება „საზოგადოებრივი დარბაზი“ რომლის შემადგენლობაშიც შევლენ საზოგადოების ღირსეული წარმომადგენლები.

—მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის ისეთ ძირითად სფეროში, როგორიც საფინანსო საბიუჯეტო პოლიტიკაა, საქმიანობა წარიმართება „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მოთხოვნათა დაცვით. უზრუნველყოფილი იქნება თანდათანობით გადასვლა პროგრამულ ბიუჯეტზე. საბიუჯეტო პროცესი იქნება გამჭვირვალე. ბიუჯეტის ფორმირების დროს პრიორიტეტი მიენიჭება სოციალურად დაუცველ ფენებს, მრავალშვილიან ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ პროგრამებს.

—მუნიციპალიტეტის გამგეობის ერთ—ერთი ძირითადი მიმართულება იქნება მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა, უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვა. 2010 წელს დადგენილი და განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტებზე დაწყდება კონტროლი, უზრუნველყოფილი იქნება სამუშაოების შესყიდვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მოთხოვნათა დაცვით. შესრულებული სამუშაოების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად გაძლიერდება ტექნიკური ზედამხედველობის როლი, ობექტების მიღება—ჩაბარება მოხდება ექსპერტების დასკვნების გათვალისწინებით.

—სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხებით შესასრულებელი ყველა პროექტი თითოეული სოფლის დონეზე მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით იქნება განხილული და მათი მონაწილეობით მოხდება შესრულებული სამუშაოების მონიტორინგი. სამუშაოები დასრულდება დროულად.

—განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა—რეაბილიტაციას. მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სრული ინვენტარიზაცია. მათი სისტემურ მოვლა—შენახვა და მშენებლობა. ქალაქის ქუჩების კეთილმოწყობა.

—2010 წლის მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტია ქ. ცაგერის წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია. სამუშაოები განხორციელდება მუნიციპალური განვითარების ფონდის მეშვეობით. დაწყდება მკაცრი კონტროლი შესრულებული სამუშაოების ხარისხზე.

—საგაზაფხულო ხვნა—თესვის აგროწესებით გათვალისწინებულ ვადებში დამთავრება მუნიციპალიტეტზე გადმოცემული მანქანა მექანიზმების სრული მზადყოფნა სამუშაოების შესრულების უზრუნველსაყოფად.

—მოწვეული იქნება საქართველოს რეგიონალური მართვის და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, გარემოს დაცვის სამინისტროს გეოლოგიის დეპარტამენტთან ერთად. სტიქიით (მეწყერი, წყალდიდობა) დაზარალებული მოსახლეობის ჩასახლება—განსახლების საკითხის გადასაწყვეტად.

—დაწყებულია ძიება ინვესტიციების მოსაპოვებლად ვცდილობთ ლეჩხუმური ყურძნით და ხილით დავაინტერესოთ უცხოელი ინვესტორები.

—ლეჩხუმის, როგორც საქართველოს ისტორიული კუთხის პოტენციალი ტურიზმის განვითარების კუთხით გამოუყენებელია. ლეჩხუმისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო დონის საეკლესიო მოღვაწის წმ. მაქსიმე აღმსარებლის სახელს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული და ბუნების ძეგლების, ღირსშესანიშნაობების და სხვა კულტურული ობიექტების შესახებ მომზადება სრულყოფილი ინფორმაცია, ელექტრონული ვერსიის სახით და განთავსდება ინტერნეტ—გვერდზე მაქსიმალურად იქნება შესწავლილი და გამოყენებული ყველა რესურსი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტების განვითარებისათვის.

მთავრობის პოლიტიკიდან გამომდინარე ყურადღება დაეთმობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კურორტებისა და საკურორტო ადგილების ფორმირება—განვითარებას. შესაძლებელია შეიქმნას „ხვამლის“ მთის განსაკუთრებული ხასიათის ნაკრძალი.

—უმოკლეს დროში უნდა დასრულდეს მუნიციპალიტეტში არსებული ქონების აღწერა ინვენტარიზაცია და მუნიციპალიტეტის ქონებად დარეგისტრირების საკითხი. წარიმართება მიზანმიმართული საქმიანობა მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შედგენისათვის.

—გატარდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება მოსახლეობის დასაქმების და ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. მუნიციპალიტეტში მოქმედ არასამთავრებო ორგანიზაციებთან კავშირში მოხდება დონორთა დაინტერესება მცირე სიმძლავრის გადამამუშავებელ და სხვა საწარმოების შექმნისათვის.

ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებელი
დიმიტრი ასათიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ქალთა საბჭო 60 წლისაა

საქართველოს ქალთა საბჭო 60 წლისაა. იგი 1948 წელს ჩამოყალიბდა. ეს იყო დიდი სამამულო ომის შემდგომი უმძიმესი წლები. საბჭოს შექმნა უკავშირდება უთვალსაჩინოესი მეცნიერისა და მოქალაქის, აკადემიკოს **ნინო ჯავახიშვილის** სახელსა და ძალისხმევას. ქალბატონმა ნინომ პარიზის ქალთა კონგრესიდან დაბრუნებულმა სახელოვან ქართველ ქალებთან ერთად მიიღო გადაწყვეტილება სხვა ქვეყნების მსგავსად საქართველოშიც შექმნილიყო ქალთა ორგანიზაცია, რომელსაც თავდაპირველად ქალთა კომიტეტი დაერქვა. კომიტეტის მუშაობა თანდათან ორგანიზებული და მიზანმიმართული ხდებოდა, იმთავითვე იღწვოდა ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ.

60 წლის მანძილზე, დროისა და კონკრეტული ვითარების შესაბამისად, იცვლებოდა ქალთა საბჭოს მიმართულებები და ამოცანები. მხოლოდ ერთი იყო უცვლელი, ქალთა უფლებების დაცვა, გენდერული თანასწორობის მიღწევა, მრავალშვილიანი ოჯახების, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა, ურთიერთობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ქალებთან, გამოცდილების გაცვლა და ა. შ.

1994 წლიდან საქართველოს ქალთა საბჭო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქალთა ორგანიზაციების საერთაშორისო ასოციაციის წევრია.

დღეს ქალთა საბჭოს მუშაობის ძირითადი პრიოტიტეტებია: აქტიური ჩართულობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, სოციალურად დაუცველ ქალთა მატერიალური და მორალური დახმარება, დემოგრაფიული პრობლემის მოგვარებისათვის ზრუნვა და სხვა უამრავი კეთილი საქმე.

ბოლო წლებში ქალთა საბჭო ახორციელებს ისეთ მნიშვნელოვან პროექტებს, როგორიცაა კონფლიქტის ზონებში დაზარალებულთა, იძულებით გადაადგილებულთა დახმარება, საქველმოქმედო საქმიანობა, პენიტენციალურ სისტემებში ქალთა და მოზარდთა კოლონებში მუშაობა და მრავალი სხვა.

ერთი სიტყვით, 60 გრძელი წელიწადია საქართველოს მანდილოსნები გულმხარვალედ აკეთებენ მამულიშვილურ საქმეს, აკეთებენ ქალური სიფაქიზით, სითბოთი, სიყვარულით, თავდადებით, ჩუმად და უხმაუროდ.

იყო მძიმე წლები—განუკითხაობის, პარალიზების, გულგრილობის, იყო ომი. ქალთა საბჭომ არა თუ შეძლო შეენარჩუნებინა ორგანიზაცია, არამედ ლომის წილი ჩადო ქვეყნის გადარჩენაში, პროცესების დარეგულირებაში. ქალთა მადლიანი საქმიანობა სალბუნად დაედო ქვეყნისა და ერის ტკივილს.

დღეს საქართველოს საბჭო იუბილარია. ვულოცავთ ამ დღეს მის საპატიო თავმჯდომარეს ქალბატონ **ნინო ჯავახიშვილს**, საბჭოს მთელ შემადგენლობას სახელოვან და ღირსეულ ქალბატონებს, ყველა ქართველ მანდილოსანს და ვუსურვებთ კვლავ და კვლავ შემართებას, კვლავ-და კვლავ სიკეთის ქმნას.

ცაგერის ქალთა რაიონულმა საბჭომ მიიღო გულითადი მოკითხვა და მილოცვა ქვეყნის ქალთა საბჭოსაგან, ამასთან ახალი რეკომენდაციები, შენიშვნები და წინადადებები ლეჩხუმელ ქალთა სახელით მადლობა მათ ამ ყველაფრისთვის. აქვე გულახდილად მინდა ვთქვა, რომ ჩვენთანაც იყო შიშის, გულგრილობის, გაურკვევლობის, უკანდახევის წლები. მაგრამ დღეს საუკეთესო ტრადიციებისა და გამოცდილების მქონე ლეჩხუმელ ქალთა საბჭო ჩამოყალიბდება ახლებურად, განახლდება ქალთა საბჭოს შემადგენლობა, რომელიც თავის ახალ სიტყვას იტყვის ლეჩხუმისა და სრულიად საქართველოს წინსვლის საქმეში, იმედსა და სიკეთის რწმენას განუმტკიცებს ადამიანებს.

**ცაგერის ქალთა
რაიონული საბჭო**

პროექტი „ქართული სიმღერის ჰანგები" წარმატებით გრძელდება

მუსიკალურმა პროექტმა „ქართული სიმღერის ჰანგები" სტარტი აიღო და წარმატებულად ჩატარდა ამბროლაურში. პროექტის ავტორი და ორგანიზატორი გახლდათ ქალბატონი **იზა ხეცურიანი**, პროექტი კი რაჭა-ლეჩხუმქვემო სვანეთის გუბერნატორის, **დავით გაგოშიძის** დიდი მხარდაჭერით შედგა.

შემოდგომაზე გაიმართა ზონალური ტურები ყველა კუთხეში, რომელშიც გამოვლინდნენ რეგიონალურ ტურში მონაწილე ფინალისტები. ამ პროექტს დიდი მოწონება ხვდა წილად. ალსანიშნავია, რომ გუბერნიის ყველა მუნიციპალიტეტის მოსწავლეები უდიდესი სითბოთი და სიყვარულით ხვდებოდნენ ერთმანეთს სხვადასხვა რაიონებში. I ტური ლენტეხის მუნიციპალიტეტში შედგა. ეს ტური „ქართული ჰიტებისა" გახლდათ, II ტური ონში—„კინო - მუსიკით", ხოლო დასკვნითი ტური—„პატრიოტული თემით" ცაგერის მუნიციპალიტეტში. თითოეულ ტურზე უდიდესი სითბოთი და რუდუნებით სრულდებოდა ქართველი კომპოზიტორების უკვდავი სიმღერები, თვით კონკურსანტებიც კი გულშემატკივრობდნენ ერთმანეთს ძნელი გახდა ერთი საუკეთესო გამარჯვებულის გამოვლენა... და რომ ზეიმი მხიარულ ნოტაზე დამთავრებულიყო, ამაზე თავად ორგანიზატორმა, ქალბატონმა იზამ იზრუნა და ყველა მონაწილე გამარჯვებულად გამოაცხადა, ანუ ამ პროექტში დამარცხებული არ არსებობს, ყველა გამარჯვებულია!

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მხარის მუნიციპალიტეტის გამგეობების მნიშვნელოვანი ღვაწლი.

ლენტეხის გამგეობამ ბავშვები მუსიკალური ცენტრით (თითოეულ მონაწილეს ლენტეხიდან) დააჯილდოვა, ონის გამგეობამ „დივიდი პლეიერებით".

ცაგერის მოსწავლეები ფულადი საჩუქრით-თითოეულს 30 ლარის ოდენობით.

პროექტი კვლავ მუშაობს. კარგი საქმე კეთდება. ახალგაზრდები ერთმანეთს და ქართული მუსიკის ჰანგებს ეცნობიან, დამეგობრდნენ და სასიამოვნო შთაბეჭდილებებით დაუბრუნდნენ ოჯახებს.

უდიდესი მადლიერება პროექტის ორგანიზატორებს ქალბატონებს **იზა ხეცურიანს და მაკა დავითულიანს.**

წარმატებებს გისურვებთ!

მარინა სვანიძე

ძვირფასო მასწავლებლებო!

მასწავლებლობა რთული, მაგრამ საპატიო პროფესიაა. მასწავლებელი მე მხოლოდ ყოველმხრივ კარგი მაგალითის მიმცემად მიმაჩნია ახალგაზრდებისათვის.

მე პირადად პედაგოგის ოჯახში აღვიზარდე და ეს ყველაფერი ჩემთვის უცხო არ იყო, მაგრამ ყველა რომ კარგ მაგალითზე აღზრდილიყო, ამის საშუალება ჩემი მასწავლებლებისაგან ნამდვილად იყო.

დიდი დრო გავიდა იმის შემდეგ, როცა კარგ კოლექტივს ჩხუტელის საშუალო სკოლაში ბატონი **გურამ ხმელიძე** შეუერთდა, ეს იყო 1962 წელი, მე მაშინ მე-6 კლასში ვსწავლობდი, ბატონი გურამი ნიჭიერი მათემატიკოსი, კარგი პროფესიონალი, სამაგალითო პიროვნება ყველა ბავშვის ძვირფასი მასწავლებელი იყო. მან შემაყვარა და შემასწავლა მათემატიკა.

ბატონო გურამ მასწავლებელს ყველა მისი აღზრდილის სახელით ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და კარგად ყოფნას!

**ყოფილი მოსწავლე,
ნანი ქარსელაძე**

რედაქცია ქალაქის წყალმომარაგებით კვლავ დაინტერესდა

გასული წლის ივლისის ნომერში გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა წერილი—„რეზერვი ქალაქს წყლით მოამარაგებს“. ხაზგასმით აღვნიშნავდით ქალაქის მოსახლეობა რა მძიმე მდგომარეობაში იყო უწყლობით, აქვე ჩვენ თანაქალაქელებს ვამცნობთ, რომ მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ჩაისახა იმედი ქალაქის მუდმივი წყლით მომარაგების, პროექტის განხორციელებაზე ზრუნვა 2009 წლის მარტში დაიწყო. გეგმის მიხედვით წყალსადენის სარემონტო სამუშაოები 2010 წლის აპრილში უნდა დამთავრებულიყო.

რედაქცია კვლავ დაინტერესდა ამ საკითხით და გავესაუბრეთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ **ომარ ჭაბუკიანს,** საუბრის დროს მან გვითხრა, რომ ქალაქის ახალი წყალსადენის მშენებლობა დამთავრების ფაზაშია, რომლის საბაზისო ღირებულება შეადგენს 484796 ლარს, მუნიციპალური განვითარების ფონდმა დააფინანსა ღირებულების 85%, ხოლო ცაგერის მუნიციპალიტეტმა! 15%. იყო ვარაუდი, რომ სარემონტო სამუშაოები ხუთ თვეში დასრულდებოდა, მაგრამ მშენებლობა მიმდინარე წლის აპრილში დამთავრდა. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის წყალსადენი ოფიციალურად არ არის მიღებული, იგი მოქმედებაშია, ათასტონიანი ავზი სისტემატურად ღებულობს მოსახლეობის ესოდენ საჭირო და სუფთა სასმელ წყალს.

აქამდე, დიდიხნის განმავლობაში, ქალაქის ქსელი მარაგდებოდა „მურის“ ტერიტორიაზე არსებული წყალსაქაჩი სადგურის მეშვეობით, რასაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი აფინანსებდა. იყო შემთხვევები, რაცა უამინდობაში რაიონს წყვეტილად მიეწოდებოდა ელექტრო ენერგია, ამ დროს წყალსადენი არ მუშაობდა. მოსახლეობა სასმელი წყლის გარეშე რჩებოდა, რაც მათ სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა.

ახალი წყალსადენის ამოქმედების შემდეგ მოსახლეობის მუდმივი წყლით მომარაგებაზე ელექტრო ენერგიის წყვეტა და უამინდობა გავლენას ვერ მოახდენს. დაიზოგება ათასობით კილოვატი ელექტრო ენერგია, რომლის გადასახადი მძიმე ტვირთად აწევს რაიონის ბიუჯეტს. ქალაქის მაღალ ხარისხიან სასმელ წყალს მიიღებს ყოველგვარი შეფერხების გარეშე.

სათაო ნაგებობაში ჩვენ თავად დავრწმუნდით თუ როგორ მოედინება წყალსაცავ ავზში „მოყაჭუას“ ანკარა და ცივი წყალი, და ბევრი ოჯახის უმთავრესი პრობლემა გადაიჭრა, რაც მთავარია ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის უშუალო ძალისხმევით უდიდეს, საშვილიშვილო საქმეს ჩაეყარა საფუძველი.

ეკა ბენდელიანი

„ჰერიო ბიჭებო“—გრძელდება

„ნიჭიერის“ ფინალი დასრულდა. მართალია, ჩვენთვის ცოტათი იმედგაცრუებით, მაგრამ გულნაზი გოლეთიანის ნამღერი „ჰერიო ბიჭებოს“ მუხტი ისე ძლიერად ფეთქავს, არც არაფერი დამთავრებულა, პირიქით, ფინალიდან დაბრუნებულ გულნაზის რომ გავესაუბრე, მივხვდი ყველაზე დიდი-ხალხის სიყვარული მოიპოვა, ლეჩხუმი პოზიტიური მხრიდან წარმოჩინდა და სამომავლო სიურპრიზებიც წინა გვაქვს.

***

ქალბატონო გულნაზი! ის ემოცია გვაინტერესებს, ფინალის დასრულების შემდეგ რომ განიცადეთ...

—სისხლი გამეყინა... მეგონა დრო გაჩერდა, თორმეტი მონაწილიდან ალბათ თორმეტივე ასე ფიქრობდა.. გამარჯვებულის გამოცხადების შემდეგ კი მივულოცე ბატონ ლევან შავაძეს გულწრფელად და ვთვლი, რომ რადგან ქართველი ხალხის არჩევანი ეს იყო, ყველამ პატივი უნდა ვცეთ. ეს არ იყო დუელი, ეს იყო მეგობრული პროექტი, რომელმაც საქართველოს სითბო და სიყვარული დაუტოვა... განსაკუთრებულად მინდა მოვეფერო ჟიურის თითოეულ წევრს ჩემდამი გამოხატული დამოკიდებულების გამო, ქართულ პრესას, რადგან არ დარჩენილა არც ერთი ჟურნალ-გაზეთი, რომელსაც ჩემდამი ინტერესი არ გამოეხატა, უკვე შემეხმიანა „ფორტარდი“, ნიკა მემანიშვილი 26 მაისს გამართულ კონცერტზე თავის ორკესტრთან ერთად „ჰერიო-ბიჭებოს“ შემასრულებინებს.

„რუსთავი 2-ის“ დილის გადაცემის პროდიუსერი ნინო არაზაშვილი აკეთებს გადაცემას, ასევე იგეგმება 14 ივნისს კონცერტი, ბათუმში, სადაც მე რამდენიმე სიმღერას შევასრულებ. მაქვს არაერთი მიწვევა და საინტერესო შემოთავაზებები. ვნახოთ ჯერ ყველაფერი წინ არის. უდიდესი მადლიერი ვარ მთელი ლეჩხუმის, სრულიად საქართველოსი.

***

ჩვენ ყველგან შენი გულშემატკივრები ვართ გულნაზ! მთელი ლეჩხუმი.

მარინა სვანიძე

ქორა ყურაშვილის სსოვნას

დიდი სამამულო ომის ვეტერანთა რიგებს კიდევ ერთი კარგი ლეჩხუმელი —ჟორა ამბროსის ძე ყურაშვილი გამოაკლდა, რომელმაც თავისი შეგნებული ცხოვრება ხალხისა და სამშობლოს სამსახურს მიუძღვნა.

დაიბადა 1921 წელს, სოფელ უსახელოში. სკოლის დამთავრების შემდეგ, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. იბრძოდა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ.

ომში მძიმედ დაჭრილი, საბრძოლო ჯილდოებით მშობლიურ კერას დაუბრუნდა და გამოჯამრთელებისთანავე შრომით ფერხულში ჩაება, ხანგრძლივი დროის მანძილზე მასწავლებლად მუშაობდა. წარჩინებული პედაგოგი, პატივისცემით სარგებლობდა რაიონის განათლების სისტემაში.

შრომისმოყვარე კაცი, სოფელმა საკრებულოს თავმჯდომარედ აირჩია, უშურველად ემსახურებოდა საყვარელი ხალხის ჭირსა თუ ლხინში, გვერდით ედგა მას გამორჩეული ოჯახი ჰყავდა. მის ოჯახში ქართულ პურმარილს ლამაზი სიმღერები ამშვენებდა, იგი ხომ ქართული სიმღერების უბადლო შემსრულებელი იყო.

რაიონში ბატონ ჟორას იცნობდნენ როგორც განათლებულ პატიოსან, უღალატო კაცს ამჟამად შვილებით და შვილიშვილებით.

წავიდა ჩვენგან კეთილი მეგობარი. მის სახელს ყოველთვის სიყვარულით და პატივისცემით მოიხსენიებენ ახლობელი ადამიანები, ომის ვეტერანები, ყველანი, ვისთანაც მოღვაწეობა უხდებოდა.

მეგობრები

მეუღლე მურთაზი, შვილები ლანა, ნატო ჭელიძეები, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ციცინო მიხეილის ასული ირემაძე-ჭელიძე.

უახლოესი მეზობლები თანაუგრძნობენ მურთაზ ჭელიძის ოჯახს

ციცო-ირემაძე ჭელიძის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები თანაუგრძნობენ ციცო, სოფიკო და ზორბეგი ცვარიანების ოჯახს

ალექსანდრე (კუსუ) ცვარიანის

გარდაცვალების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დიდი ადამიანები მოდიან, მაგრამ აღარ მიდიან“

ეს გამონათქვამი სავსებით მიესადაგება ნეტარხსენებული ნოდარ დუმბაძის უკვდავ სახელს. და დღეს მწერლის საიუბილეო 80 წლის თარიღთან დაკავშირებით, სიამოვნებით ვიხსენებ იმ ისტორიულ დღეს, როცა 1982 წელს იტალიაში მოგზაურობიდან დაბრუნებულს რესპუბლიკური საავადმყოფოს თანამშრომლებმა შეხვედრა მოვუწყვეთ და ამ მოკრძალებული წერილის ავტორმა მთავარი ექიმის თხოვნით მისასალმებელი სიტყვით—ასე მივმართე: „ბატონო ნოდარ! მედიცინის მუშაკთა შეხვედრა თქვენთან სავსებით კანონზომიერია, რამეთუ თქვენც მკურნალი ბრძანდებით, და უფრო მეტიც, თქვენ კურნავთ ჰუმანური მეთოდით—„სიტყვით“, ხოლო თუ როგორი მკურნალი ბრძანდებით, ამაზე მეტყველებს საზოგადოების ეგზომ დიდი ინტერესი თქვენი შემოქმედების მიმართ: აგრეთვე ის, რომ ნაწარმოების მიხედვით შექმნილი სპექტაკლები ანშლაგებით იმართება.

ერთი ორიგინალური შედარება მინდა მოვიყვანო: როდესაც კრილოვი გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე მან დაჩრდილა ყველა მოიგავარაკე მე-4 საუკუნის ბერძენი ეზოპედან მე-17 საუკუნის ფრანგ ლაფონტენამდე და კრილოვი აღიარეს იგავ-არაკების მატადორად.

ასევე თქვენც, მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში აღიარებული ხართ ფილოსოფიური აზროვნების, მახვილი სიტყვის დიდ ოსტატად და რა უნდა გისურვოთ იმაზე მეტი, რასაც დიდ შემოქმედს უსურვებენ: დაე, თქვენი კალამი დიდხანს არ დამშრალიყოს, თქვენმა სიტყვამ მრავალ წელს გვაცინოს, გვახალისოს, თქვენ კი ასე ლამაზად, მხნედ, ლაღად გაცოცხლოს—დაგარბემუხოს!“

ბატონი ნოდარი აღაფრთოვანა მის შემოქმედებაში მკურნალის მაგიური როლის წარმოჩენამ და სამადლობელ სიტყვაში მისთვის ჩვეული თავმდაბლობით. აღნიშნა: „მე ყველაზე მეტად ქალბატონი ნევროპათოლოგის, შენგელაიას ნათქვამი მომეწონა—მე მართლაც მომელის ბარათები ასეთი შინაარსის—თქვენმა ნაწარმოებებმა განმკურნა.

მხოლოდ ამის შემდეგ მივმართე მწერლის ფოსტას, სადაც აღმოვაჩინე ჩემი აზრის დამადასტურებელი წერილები. კერძოდ, ერთი ავადმყოფი წერდა: უშედეგოდ ვმკურნალობდი მოსკოვის წამყვან ფსიქიატრიულ კლინიკაში. ტრამვული ფსიქოზის დიაგნოზით. ერთი დღეს ჩემმა ვაჟმა მომიტანა ნოდარ დუმბაძის თხზულებების რუსული თარგმანი და დავიწყე ჩემთვის ჩუმად კითხვა და ყველა ავადმყოფი გულიანად იცინოდა (პალატაში ოთხნი ვიწექით).

ერთი კვირის შემდეგ ექიმმა შემოვლის დროს აღნიშნა ჩვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის საგრძნობი გაუმჯობესების შესახებ, მას ეგონა, რომ მის მიერ დანიშნულმა მედიკამენტებმა მოგვცა შედეგი, ჩვენი კი დარწმუნებული ვიყავით, რომ ეს ნოდარ დუმბაძის თხზულების დამსახურება იყო.

და მართლაც ნიშანდობლივია, რომ ექიმი ნევროპათალოგები ნევროზით შეპყრობილ ავადმყოფებს თამამად ვურჩევთ—იკითხონ ნოდარ დუმბაძის იუმორით აღსავსე თხზულებანი, ეს მათ დაეხმარებათ განკურნებაშიო, ვინაიდან პათოგენეზურად სიცილის დროს თავის ტვინი გამოყოფს ენდორფინს—ბედნიერების ჰორმონს, რომელიც ასტიმულირებს იმუნურ სისტემას და ამით ხელს უწყობს ავადმყოფის გამოჯანმრთელებას.“

ცნობილი ეს მეთოდი „სიცილით თერაპია“ შემოიღო ფრანგმა მსახიობმა და ექიმმა ფრანსუა რაბლემ.

დასანანია, რომ ამ შეხვედრის შემდეგ მოულოდნელად ჩაქრა „ბრწყინვალე ვარსკვლავი“ და „ მარადისობის კანონის“ ავტორი თავად შეუერთდა მარადიულ ციურ სამყაროს.

დიდ ილიას უთქვამს: „კაცმა ისე უნდა იცხოვროს, ისე უნდა მოიხადოს თავისი ვალი ქვეყნის და ხალხის წინაშე, რომ ტირილით ნაშობი სიმღერითა და სიცილით გამოესალმოს წუთისოფელს“.

სწორედ, ასე 1984 წლის 14 სექტემბერს სიკვდილის წინ თურმე მეგობრებს ეშმაკური ღიმილით მოუხმო, მისუსტებული მკლავი გადახვია და მათთან ერთად იმღერა.

ასე წავიდა სულით ხორცამდე ინტელიგენტი, ზრდილი, მზიანი გულის კაცი იმქვეყნად, ასე შეუერთდა მარადიულ ციურ სამყაროს, ხოლო მადლიერ შთამომავლობას დარჩა ნეტარი მოგონება და ფილოსოფიური აზროვნებით, მკურნალის საოცარი ძალით გაჯერებული შემოქმედება ქვეყნად ცნობილი ნოდარ დუმბაძისა.

ნევროპათალოგი, ლეჩხუმელი ხალხის მოყვარული, ამჟამად პენსიონერი
იზოლდა შენგელაია

„ხვამლი“ პრიზიორთა შორის

იმერეთის რეგიონის პირველობაზე სლავა მეტრეველის სახელობის თასზე ფეხბურთში წარმატებულ გამოსვლას აგრძელებს ცაგერის „ხვამლის“ ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდი (მწვრთნელი მერაბ ბერუჩაშვილი, პორფილე კოპალიანი)

ბოლო პერიოდში ჩატარებული მატჩების შედეგები ასეთია: „ხვამლი“–„მეშახტე“ ტყიბული 3:0; „ხვამლი“–„ტორპედო“ ქუთაისი 3:1,, „მართვე“ ქუთაისი –„ხვამლი“ 1:0, „ხვამლი“– „ჩიხურა“ საჩხერე 3:0, „მამისონი“ ონი – „ხვამლი“4:5, „ხვამლი“ – „ჭიათურა“ ჭიათურა 2:0, ნორჩი „ტორპედო“ ქუთაისი – „ხვამლი“–1:2.

დღეის მდგომარეობით ცაგერის „ხვამლი“ 35 ქულით მეორე ადგილზეა. დარჩენილ ოთხ შეხვედრაში ჩვენს გუნდს ძალების მაქსიმალური მობილიზება დასჭირდება მიღწეული შედეგის განმტკიცებისათვის.

მთ. სპეციალისტი სპორტის სფეროში გია სილაგაძე

ნიჭიერი ლეჩხუმიდან

ქალბატონო გულნაზი! გილოცავთ წარმატებას, დიდი და პატარა აღფრთოვანებული ვართ შენით.

გულნაზი გოლეთიანი თვითნაბადი ოქროა. Mმან მისი ნიჭის წყალობით მოიპოვა დიდი წარმატება. ის საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული კუთხის ლეჩხუმის შვილია, სოფელ ქვედა ცაგერიდან. ლეჩხუმი საქართველოში გამოირჩევა ბუნების მრავალფეროვნებით და სილამაზით. აქ დაიბადნენ და აღიზარდნენ გულნაზი გოლეთიანის წინაპრები: ლადო ასთიანი, ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი, პოეტი ჯანსულ ჩარკვიანი, მწერალი ქალი დესპინე გელოვანი, პოეტი სევერიან ისიანი, აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი, მარშალი არჩილ გელოვანი, ყოფილ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, რეჟისორი მიხეილ გელოვანი და სხვა მრავალი საქართველოს ღირსეულნი შვილნი. ესეიგი გულნაზი გოლეთიანის ფენომენი ლეჩხუმიდან არავისათვის გასაკვირი არ უნდა იყოს. Mმსგავსნი და უკეთესებიც ახლაც იზრდებიან, რომლებიც მომავალში თავის სიტყვას იტყვიან.

ასე, რომ ლეჩხუმს როგორც საქართველოს ერთ-ერთ ძირძველ ისტორიულ პროვინციას ბევრ რამეში თავისი ხელწერა გააჩნია. ლეჩხუმლების სახელით მადლობას ვუხდით პროექტის - „ნიჭიერი“–ის ავტორებს, ჟიურის წევრებს, განსაკუთრებით ნიჭიერ და ღირსეულ ლეჩხუმელ ქალბატონს მაია ასათიანს, დიდებული და კეთილშობილი ღონისძიების მომზადება-ჩატარებისათვის, რითაც განსაკუთრებით რეგიონებში გულნაზისთან ერთად, გამოვლენილი იქნენ დღემდე უყურადღებოდ მირჩენილი ნიჭიერები. მიგვაჩნია, - პროექტი უნდა გაგრძელდეს.

ცაგერის ისტორიული მუზეუმის თანამშრომელთა სახელით დავით კოპალიანი

კიდევაც დაიზრდებიან...

თავისუფლების სიმბოლო

დიდ გალიაში გამომწყვდეული
იჯდა პაწია მტრედი მოთეთრო
გული სტკიოდა, ცრემლი სდიოდა,
უფალს შესთხოვდა: მიხსენი ღმერთო!

დაღონებული ცას შესცქეროდა,
გული დღემუდამ გარეთ უნევდა.
დატყვევებული იქ ვეღარ ძლებდა,
მტრედი ტყვეობას ვეღარ უძლებდა.

მაგრამ იმედი თავისუფლების,
არ დაუკარგავს, არ გაქრობია.
ჰქონდა იმედი თავის დაღწევის,
სიცოცხლის სხივი არ ჩაქრობია.

აჰა, გაიღო გალიის კარი,
გული სიცოცხლეს კვლავ მიესალმა,
გაფრინდა მტრედი, გაფრინდა ლაღად,
ბუნებას, ზეცას კვლავ დაეხმარება.

დაფრინავს მტრედი გალაღებული,
თავისუფლებას ფართო გზა მისცა—
და ამიტომაც ის მშვიდობის და
თავისუფლების სიმბოლოდ იქცა.

ლამაზო პეპელავ, მენანები?!

ჩანახატი

მინდორში ზღაპრული სილამაზის ოქროსფრად დაწინწკლული პეპლები დაფრინავენ, თითქოს ყვავილებს ეჯიბრებიანო სილამაზეში...

ღმერთო! რა დიდებულია, რამ შექმნა ასე უნაკლო, ასე უმანკო, რატომ მიენიჭა ასე ხანმოკლე სიცოცხლე? ერთ-ერთს, ყველაზე პაწიას გულში ვიკრავ და ვეფერები: ნეტავ შემეძლოს შენი გადარჩენა, ალბათ, უკან არაფერზე დავიხევდი.

ყელში თითქოს რაღაც ბურთივით გამეჩხირა და მახრჩობს: ვიცი, სულ მალე პეპელას სიცოცხლის ბოლო ზარი ჩამოკრავს...

ქვედა ცაგერის საჯარო სკოლის მოსწავლე, შოთიკო ჩანქსელიანი

სარედაქციო კოლეგია:
ეკა ყვირილიანი, მარინა სვანიძე
ეკა ბენდელიანი, მზევინარ ქიქელაძე

მისამართი:
ცაგერი, რუსთაველის №47
ტელ: 899 196751

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №33
ტელ: 23711, 23499